603 ℵ 14991

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 6
(11 667)

31 იანვარი – 3 თებერვალი (პარასკევი – ორშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ძიუდოს დიდი ზეიმი თბილისში

XXX საუბილეო

ქულათა მაქსიმუმით, ერთპიროვნულად...

ლიდერობენ თამარ წერეთელი და დავით ჯოჯუა

ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი, როგორც გოგონთა, ისე ვაჟთა შორის. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება. დღეისათვის ოთხი ტურია გაფეთქილი.

გოგონთა შორის ერთპიროვნულად ლიდერობს თამარ წერეთელი, რომელმაც ყველა პარტია მოიგო.

ლიდერს 0,5-0,5 ქულით ჩამორჩებიან თეონა ოდიშარია და ბელა ხოტენაშვილი. დღეკანდელ, მეხუთე ტურში წერეთელი სწორედ ოდიშარიას ეთამაშება, ხოლო ხოტენაშვილი — მიქაძეს.

ვაჟთა შორის ასევე მაქსიმალური შედეგი აქვს დავით ჯოჯუას, რომელსაც 0,5-0,5 ქულით დაეთა ზარქუა და ბეგლარ ჯობავა ჩამორჩებიან. დღეს ჯოჯუა ზარქუას ხვდება, ჯობავა — კონსტანტინე შანავას.

ადრე თუ გვიან, ეს დღე უნდა დამდგარიყო და დადგა კიდეც – ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირმა დაიბრუნა ოდინდელი ავტორიტეტი და დიდება – იგი კვლავ A კატეგორიისაა და ევროპის ფედერაციამ სალიცენზიო ტურნირების ნუსხაში შეიტანა.

ამასთან, ეს ტურნირი, რომელიც ხვალ და ზეგ ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში, მასპინძლების, თანაც არა ერთი და ორი ხელმძღვანელის, თუნდაც საქართველოს ეროვნული სპორტული სამყაროს, არამედ გარკვეულწილად მთელი ჩვენი ქვეყნის გამოცდაცაა. თუ რამდენად და როგორ შეუჭდით მოზზადებული ავტორიტეტულ ტურნირს, სრულად გამოჩნდა ამ უძველეზე. უნდა ითქვას, რომ მზადება სპონტანური არ ყოფილა. ყველას, უპირველესად სპორტის ხელმწიფო დეპარტამენტს და ფედერაციას, მათ ხელმძღვანელებს, ჯერ კიდევ შარშან, როცა 1990 წლის შემდეგ ტურნირი თბილისს კვლავ ეწვია, კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული პასუხისმგებლობა და ეს განწყობა ყველას გადასდეს, ვინც მაღალ ფონეზე ტურნირის ჩატარება უნდა უზრუნველყოს. ასეთი კი არა ერთი და ორი სამსახურია. თუ რაიმე მოულოდნელობამ არ იჩინა თავი (ღმერთმანუ ქნას), კომპეტენტური მიდგომა შეჯერებულია ერთ მექანიზმად და სინქრონი არ უნდა დაირღვეს.

ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ახლანდელი ტურნირი რიგით 30-ეა და, ამდენად, საინტერესოა, ცხადი გახდება, რომ უპირველესად სტუმრებმა უნდა იგრძნონ ამაღლებული განწყობა და გამორჩეული მასპინძლობა. თუ ასპარეზობის ავტორიტეტს მონაწილე ქვეყნების არა მხოლოდ რიგხობრივობა, არამედ გუნდებისა და თითოეული სპორტსმენის დონეც განსაზღვრავს, თბილისის ამჟამინდელი ტურნირი დაძაბული უნდა გამოდგეს. ბოლოს და ბოლოს, იაპონელები, ფრანგები, რუსები, უკრაინელები ჩამოდიან, საქართველო კი, რომელმაც შარშან ევროპაში უძლიერესის სახელი მოიპოვა, მსოფლიოში კი მეორე ერიზიორი გახდა, სრული ოთხი გუნდით, ანუ 28 ათლეტით გამოვა ტატამზე. ხსენებული ქვეყნების გარდა, თბილისში საშეჯიბრო ჩამოვიდნენ საბერძნეთის, უოუქეთის, ისრაელის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის და ლიტვის ნაკრებები.

ორთაბრძოლები, როგორც იტყვიან, მარილაც რომ უშეღავათო იქნება, მით უფრო, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ტურნირი სალიცენზიოა და 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის საგზურის მოპოვებისთვის თავისებური ბრძოლის ველია.

იხ. მე-2 გვ.

სამთა ლაშქრობა ყირიმეარნეერზე

ქართველ ალპინისტთა სასიმაღლო ასვლებისა და ამ რიგად გზაზე მიდწეული წარმატებების ტრაფიკა გრძელდება. ამ დღეებში ალპინისტთა სამკაციანმა ჯგუფმა ზურაბ კუჭავას ხელმძღვანელობით, წარმატებით დალაშქრა მწვერვალი ყაზბეგი (5049 მ). ზურაბ კუჭავამ და მასთან ერთად ორმა ახალგაზრდა მთამსვლელმა ლევან თათარაშვილმა და გიორგი კახაბრიშვილმა მყინვარწვერზე მანამდე გაუვალი მარშრუტი (ე.წ. „ხვეელეშაპი“) დაძლიეს. ჩვენი მთამსვლელები შინ უკვე დაბრუნდნენ.

მილოცვები

ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში რაფაელ ჩიმიშკანი დაბადებიდან 80 წლისთავს უსოცავს თავის უფროს მეგობარს და ყოფილ თანაგუნდელს, სახელგანთქმულ ვეტერან ვალიოტოფრბოლს ამბარდიელ გუნიას.

* * *

„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან საუბილეო თარიღს ულოცავს ჩვენი გაზეთისა და მისი ყველა თაობის თანამშრომელთა მუდამ ერთგულ მეგობარს, შესანიშნავ ვეტერან სპორტსმენს, ფეხბურთელ პეროვნებას ამბანდიელ გუნიას.

* * *

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს სახელოვან ვეტერან სპორტსმენს, მწვრთნელს და სპორტის მუშაკს ამბანდიელ გუნიას.

პრესკონფერენცია



ჩივაძე იწვევს ეურნალისტებს

დღეს, 31 იანვარს, 14 საათზე სფფ-ს საკქმო დარბაზში საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაკინი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე პრესკონფერენციას გამართავს. მოწვეულ ეურნალისტებთან ერთეული ნაკრების ხელმძღვანელთა მოლდავეთის ნაკრებთან მატჩისათვის მზადებაზე და საერთოდ ნაკრების სამომავლო გეგმებზე და პერსპექტივებზე ელაპარაკებენ.

მილოცვა

ნოდარ ხიზანიშვილი – 50

სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების არაერთგზის ლაურეატს, საბჭოთა კავშირის თასისა და ევროპის თასების თასის მფლობელს, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, **ნოდარ ხიზანიშვილს** დღეს, დაბადებიდან 50 წელი უსრულდება. საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს სახელოვან ფეხბურთელს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი,
საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი.

გაზეთის დაბეჭდვამდე:

ფეხბურთის მოყვარულები გაოგნა ესპანეთის თასის მეოთხედფინალური მატჩის – „მალიორკა“ – „რეალის“ შედეგმა. სამეფო კლუბმა გამანადგურებელი მარცხი იწვნია – 0-4. მატჩის შემდეგ მადონელთა მთავარმა მწვრთნელმა ვინსენტე დელ ბოსკემ განაცხადა: „ეს იყო რთული დღე ჩვენთვის, – საკმაოდ მძიმე მარცხი ვიწვნიეთ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი წუთითაც არ ჩამოგვაყოლა ყურები. გვინდოდა, ნახვევრფინალში გავსულიყავით, მაგრამ ვერძნობ ტკივილს შეურსულებელი იმედის გამო“.

იტალიური საფეხბურთო კლუბ „ლაციოს“ თავდამსხმელი კრისტიან მანფრედინი, შესაძლოა უალიუს ხანში ესპანურ „ოსასუნაში“ გადავიდეს. 4 თებერვალს ფეხბურთელი ესპანური კლუბის წარმომადგენელებთან ერთად კონტრაქტის პირობებს განიხილავს.

ცნობილმა ნიგერიელმა სპორტულმა ფილანტროპმა, „ბელადად“ წოდებულმა ნატანიელ ოდოვემ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა შეძლებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას.

უნდა ითქვას, რომ ნიგერიას აღნიშნული ღონისძიების მასპინძლობის უფლების მოპოვების რეალური შანსი აქვს და ა.ი, რატომ: ჯერ ერთი, ფიფამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი აფრიკის კონტინენტზე ჩატარდეს და მეორე, იფოფუ ერთადერთი ნიგერიელია, ვინაც მსარი დაუჭირა ფიფის პრეზიდენტს ოზუკუ ბლატერს გასული წლის მაისის თვეში არჩევნების დროს.

სუპერმიმი წინაში მსოფლიოს ჩემპიონმა პროფესიონალ კრივში ლენოქს ლიუისმა ეურნალისტებს თავისი უახლოესი გეგმები გაანდო. კერძოდ, ლიუისი აპირებს კიდევ სამი ბრძოლა ჩაატაროს — მაიკ ტაისონთან, ვიტალი კლიჩკოთან, ვლადიმირ კლიჩკოთან და ამის შემდეგ, დიდი სპორტიდან წავა. ლიუისს თურმე განუზრახავს, პროფესიული კრივი „მეფის“ რანგში დატოვოს...

ᲓᲦᲔᲡ იწყება მოლაპარაკება უმწვრთნელოდ დარჩენილ „ბარსელონასა“ და ცნობილ არგენტინელ სპეციალისტ სეზარ ლუის მენოტის შორის. მენოტი ჩაფრინდება მადრიდში და იქ შეხვდება კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობას. აქვე გეტყვით, რომ მენოტის 20 წლის წინ უმუშავია ამ კლუბთან და მოუპოვებია როგორც ქვეყნის თასი, ისე ჩემპიონატის ოქროს მედალი.

ᲛᲐᲚᲘᲝᲜᲗᲐ ტურნირთა სერია „ოქროს ლიგის“ ორგანიზატორებმა შესაძლოა არ დაუშვან ამ ეგიდის შეჯიბრებში სახელგანთქმული ამერიკელი სპორტსტერები მერიონ ჯონსი და ტიმ მონტომერი. საქმე ისაა, რომ ორივე მათგანი ამხელეს ჩარელი ფრენსისთან თანამშრომლობაში, რომელიც ადრე კანადელ ბენ ჯონსოს წერთნიდა.

ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, საზღვარგარეთულ პრესაში გაკოსა ინფორმაციამ, რომ მერიონ ჯონსი და ტიმ მონტომერი ვარჯიშობდნენ ჩარელი ფრენსისთან. ეს უკანასკნელი, უნდა ითქვას, თავის დროზე აკრძალულ პრეპარატებს აძლევდა ბენ ჯონსონს და არწმუნებდა, რომ ეს საშუალება თვო გამარჯვების გარანტი. ბენ ჯონსონი სეულის ოლიმპიურ თამაშებში „გამოიჯარეს“, როცა დო



ზაფხულის მოძველებულ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი გვაშორებს

ATHENS 2004

ამოვავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 6 თვე დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკაში

ქიუდოს დიდი ზეიმი თბილისში

(პირველი გვერდიდან)

მაყურებელი უთუოდ დაინტერესდება იმითაც, რომ ზოგიერთი ქვეყნის ნაკრებში საქართველოდან წასული ქიუდოისტებიც გამოდიან, „ლეგიონერები" კი მწვრთნელთა შორისაც არიან.

ტურნირში, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველ ქიუდოისტთა ოთხი შემადგენლობა იასპარეზებს. წონების მიხედვით ჩვენი გუნდები ასე გამოიყურება: *60 კგ* – ნესტორ ხერგიანი, ლაშა სანდარაშვილი, ვახტანგ ხოსიტაშვილი და აკაკი ხანიშვილი. *66:* გიორგი რევაზიშვილი, დავით მარგოშვილი, ზაზა კვდელაშვილი და მინდია ხომიდურო. *73:* დავით ქვეხიშვილი, დავით ნადარაია, დავით ბოდაველი და ლევან სულხანიშვილი. *81:* გრიგოლ მამრიკიშვილი, მორის თადფმაძე, გიორგი შინჯიკაშვილი და ლევან ნიკლაური. *90:* ზურაბ ზვიადური, მინდია ბოდაველი, ზაზა ფურჩაშვილი და გელა ბეჭვაია. *100:* გიორგი გუგავა, გიორგი ყიზილაშვილი, მიხეილ ტურაშვილი და ლაშა ფეიქრიშვილი. *მძიმე:* ალექსი დავითაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი და დურმიშხან ბერუაშვილი.



თბილისის XXX საერთაშორისო ტურნირი ქიუდოში

შაბათს ასპარეზობა დაიწყება 12 საათზე სამ წონით კატეგორიაში. ტურნირი საზეიმოდ ხვალვე 16 საათზე გაიხსნება. 17 საათიდან გაიმართება ფინალური შეხვედრები. გამოვლინდებიან აბრეშუმ მესამე პრიზიორები.

კვირას ასპარეზობა 11 საათზე დაიწყება და შეუსვენებლივ გაგრძელდება. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდებიან ოთხ წონით კატეგორიაში.

ყურადღება! საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ქიუდოს ფედერაციის გაჯაყფვეტილებით ტურნირზე გულშემატკივართა დასწრება უშასოა!

რუსეთის ეოქ-ი სისხლის სამართლის წინაშე?

მიმდინარე კვირა მოსკოვში სკანდალით დაიწყო – სისხლის სამართლის საქმე აღიძრა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელმაც ვერ შეძლო ჩაებარებინა ფინანსური ანგარიში იმ 7 მილიონამდე დოლარის ხარჯვაზე, რომელიც ბიუჯეტმა შარშან გამოჰყო სოლტ-ლეიკში ზამთრის ოლიმპიადისათვის ხარჯვების გასაწევად.

ეს ფაქტი რუსეთის ეოკ-ის ხხდომის წინ გახმაურდა, ხხდომაზე კი გადწყვეტილება უნდა მიეღოთ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადისათვის მოსკოვის კანდიდატურის წამოყენების თაობაზე. ხხდომა გადაიდო მორიგი დარტყმის შიშით. მანამდე მოსკოვს თავისი კანდიდატურები ჩაუფლავდა მსოფლიოს გამოფენა „ექსპო 2010", ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის და მძლეოსნობაში ასევე ევროპის ჩემპიონატის მასპინძლების წარდგენისას.

რუსეთის მაღალი წრეებიდან ეოკ-ს მიანიშნეს, რომ სიფრთხილით მოეკიდონ ასეთ საკითხებს, რათა ქვეყნის პრესტიჟს ჩრდილი არ მიადგეს.

* **

ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც, რუსეთის ეოკ-ის აღმასკომის ხხდომა არასასურველი აგმოსფეროს მიუხედავად, ჩატარდა. უნდა გაეგზავნათ ორი საკითხი. პირველი – 2004 წლის ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით და მეორე – 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადისთვის მოსკოვის კანდიდატურის წამოყენების შესახებ. როცა ჯერი მეორე საკითხზე მიდგა, სასწრაფოდ მოხსნეს დღის წესრიგიდან. სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა განაცხადა, რომ მსჯელობა გადაიდო რუსეთის მთავრობის გაურკვეველი პოზიციის გამო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. „ამ პრობლემას ისევ დავუბრუნდებით, როგორც კი მთავრობა მიიღებს გარკვეულ გარანტიებს, მოსკოვის კანდიდატურის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. გარანტიებში კი ეკონომიკური მხარდაჭერაც იგულისხმება." – დასძინა სმირნოვმა.

შსახსრობის გამო, „შეგარდნილსა" და „მართვეს" ზამთრის ღია პირველობა ერთ დღეს ჩატარდა, ამასთან, არც რეგიონებიდან მოიწვიეს სპორტსმენები. მონაწილეობდნენ მხოლოდ თბილისის და დედაქალაქთან ახლომდებარე რაიონების წარმომადგენლები. როგორც ამას წინათ, დ. ოსმელიანის სახელობის ზამთრის სასახლე დირექციამ აჩვენოდა უფასოდ დაეთმო მოსასარეზეებს.

ძლეულნებმა შეჯიბრება შეჯიბრებას ეიყოლეს...

გვაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

60 მ. ქალები: 1. მარიამ ინაშვილი — 7,7, 2. იულია დებინა — (ორივე — „მართვე") — 7,81, 3. ანნა ნიკოლაშვილი („შეგარდნილ") — 8,2. ***ვაჟები:*** 1. გოჩა ჩხაველია — 6,9, 2. ლადო გაბუნია (ორივე — „შეგარდნილ") — 7,0, 3. დავით ცუცქირიძე („მართვე") — 7,0. ***200 მ. ქალები:*** 1. ეკატერინე ტყმანაძე — 25,6, 2. მარიამ ინაშვილი (ორივე — „მართვე") — 25,8, 3. ქეთი ანაშვილი („შეგარდნილ") — 28,9. ***ვაჟები:*** 1. რომან მანუკიანი („შეგარდნილ") — 23,7, 2. დავით ცუცქირიძე — 23,9, 3. ვასილ ელოშვილი (ორივე — „მართვე") — 24,5. ***400 მ. ქალები:*** 1. თამარ ესებუა — 1.02, 6, 2. ბელა გოგსაძე (ორივე — „მართვე") — 1,14,5. ***ვაჟები:*** 1.

ბადრი ბადრიძე — 51,8, 2. ამირან კირვალიძე — 52,6, 3. კონსტანტინე ბაიკეკი (სამივე — „მართვე") — 55,3. ***800 მ. ქალები:*** 1. ქეთინო ყუპატაძე — 2,38,0, 2. მარინა მაღლაკელიძე (ორივე — „მართვე") — 3,23,6. ***ვაჟები:*** 1. ანფრო პოზიველო („შეგარდნილ") — 2,11,8. ***ბირთვი. ქალები:*** 1. მარიამ ქეიხიშვილი — 14,58, 2. ნინო ელიზბარაშვილი (ორივე — „მართვე") — 11,94, 3. ოლესია ივლევა („შეგარდნილ") — 9,97. ***ვაჟები:*** (5 კგ): მამუკა ტუღუში — 18,75, 2. გიორგი ბედოშვილი — 14,56, 3. დავით ქეიხიშვილი (სამივე — „მართვე"). — 8,58. ***1500 მ. ვაჟები:*** 1. ბაშლეტ მამიკონიანი — 4,26,7, 2. რობერტ სარქისიანი — 4,49,8, 3. ლაშა თანდილაშვილი (სამივე — „მართვე") — 4,50,0. ***ხიბრძნე ზტოშა. ვაჟები:*** 1. გიორგი ამირანაშვილი — 6.11, 2. ბორის სხირტლაძე (ორივე — „მართვე") — 6,0, 3. ირაკლი ვახანია („შეგარდნილ") — 5,63.

მარიამ ძეშიშვილი

საუკეთესო პრიზი ყმაწვილებისთვის!

შარშან საყმაწვილო-ლიტერატურულ ჟურნალ „დილას" რედაქციამ, ამ გამოცემის მთავარი რედაქტორის დოდო წოწიაშვილის თაოსნობით, „დილას" დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, ბრწყინვალე საჩუქარი უძღვნა მოზარდთა დღეკვნდელ და მომავალ თაობებს — პირველად დაისტამბა ქართულად „საყმაწვილო ენციკლოპედია". ამ დღეებში დღის სინათლეს იხილა უკვე მეორე წიგნმა „ცივილიზაცია" (ნაწილი პირველი). თბილისური გამომცემლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხარისხით მას არათუ ჩამოუვარდება, შეკვეთით ბუღალტერში დაბეჭდილ პირველ წიგნს სჯობნის კიდეც. „საყმაწვილო ენციკლოპედია" ძირითადად ხელმოწერით ვრცელდება, მაგრამ ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა საცალო წესით, უშუალოდ რედაქციაში მის შესაძენად. ამას სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტული სკოლების საყურადღებოდ ვამბობთ, რადგან სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებული და პრიზიორი ფაბწვილი სპორტსმენებისთვის ამ წიგნზე უკეთეს ჯილდო-საჩუქარს ძნელად თუ ვინმე მოიფიქრებს. მსურველებმა მიაკითხეთ მინასამართზე: კოსტავას, 14; „დილა", ტელ: 93-10-32. დაბპარებისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ აგრეთვე „ლელას" რედაქციაში.



იყო ასეთი შემთხვევა

ბრიუკი... ციცრის ციბეებზე

ეს ამბავი მოხდა 1948 წელს. თბილისის ცირკის შენობაში სპორტის მეშაკთა დიდ თაობრიზე მიგვიწვიეს. რამდენიმე სპორტსმენი და სპორტის მეშაკი ჩვენს მაშინდელ თავმჯდომარესთან ალეშანდრე ფარულავასთან ერთად შენობაში შესასვლელთან ვიდექით და ფსაუბრობდით. უეცრად რაღაც საშინელი ხმაური მოგვესმა კიბეების მხრიდან, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. სულ რაღაც რამდენიმე წამში ჩვენს თვალწინ კიბეებიდან ცირკის წინა მოედანზე მოტოციკლეტით ამოსტა ვიღაც თავზეხელაღებული. ყველანი სახტად დავრჩით. „ბიჭვარამ" ძმა ჩვენს თვალწინ გაკვეთა რკინის რაში, მკერცხლად გადმოსტა, ჩაფხეტი ჩამოიხსნა და მხერცულად მოგვესალმა. ჩვენს წინ, ჩვეული ღიმილით, ცნობილი ბრბოლი ავოო გუნია იდგა.

„ეს რა გააკეთე" — სიცილით უთხრა სპორტგომიტეტის თავმჯდომარემ. „ასე იალტუზზე ასვლაც შეიძლება" — ჩაილაპარაკა რომელიღაც ჩვენთაგანმა.

რატომაც არა! — უპასუხა ავოომ.

რაშაელ ჩიგინაშაანი, ოლიმპიური ჩემპიონი.

ჯანმრთელობის კუთხე

უნიკოტინი სიგარეტის გამოიგონეს

მსოფლიოში ნიკოტინის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად მებრძოლ ქვეყანაში, აშშ-ში სავაჭრო ქსელში მალე გამოჩნდება სიგარეტის ახალი მარკა (საეარაუდოდ მას ერქმევა QUEST) მოდიფიცირებული თამბაქოს გენით. მეცნიერ – გენეტიკოსები იქმედ მიეიდნენ, რომ საიმედოდ ჩაკეტეს თამბაქოში ნიკოტინის წარმოქმნაზე პასუხისმგებელი გენი, რაც ფაქტობრივად, ინვევს ადამიანების მიდრეკილებას სუსტი ნარკოტიკი-სადმი, აჩვევს სიგარეტს და მისი წევით ტკბობას.

ახალი მარკის სიგარეტის მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ ამით მწეველებს დაეხმარებიან უარი თქვან მავნე ჩვევაზე, წევის

პროცესი თანდათან უგემოვნდება და საბოლოოდ სიგარეტის მოხმარების სურვილი ქრება, მით უფრო, რომ ძველი ნიკოტინნელ-ნელა გამოდის ორგანიზმიდან.

ახალი სიგარეტი სამი ხარისხის იქნება: „მსუბუქი", „სუპერ-მსუბუქი" და „ულტრამსუბუქი".

ასე რომ, არჩევანი თქვენზეა, თამბაქოს მწეველებო!

„რკინის მცველი“ 60 წლისაა



ალბერტ შესტერნიოვმა, გამოიფანარა, საბჭოთა ნაკრები მინდორზე, მოიხსნა კაპიტნის სამკლაური და მურთაზ ხუციელავას გადუცვა. ქართველ ფეხბურთელთა სახელოვანი პლეადიდან მურთაზ ხუციელავას პირველს ხვდა საბჭოთა ნაკრების კაპიტნობა. მას ბეედა არგენა ყოფილიყო მრავალეროვანი შემადგენლობის გუნდის წინამძღოლი. ეს იყო ქართველი ფეხბურთელისადმი პატივისცემა, აღიარება და მისადმი დიდი ნდობის გამოცხადება. ყოველივე ეს მურთაზმა დაიმსახურა თავდადებული, დაფდალავი ჯაფთი, თამაშის მაღალი ოსტატობით და კლასით, ტემპერამენტით და, რაც მთავარია, წინამძღოლისათვის დამახასიათებელი ორგანიზატორული ნიჭით.

მ. ხუციელავას არაერთხელ უთამაშია წარმატებით ისეთი ფორვარდების წინააღმდეგ, როგორებიც იყვნენ: — სტრელცოვი და ბიშოვეცი, გერმანელი მიულერი, იტალიელი პერსტენი, შოტლანდიელი ლოუ პოლონელი ლიუბანსკი, პორტუგალიელი ტორესი, უნგარელები ფარკაში და ვარგა, ბრაზილიელები პელე, ტოსტო და ეკორნინიო.

მ. ხუციელავა იმ გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთა კომპორტას მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი საფუძვლიანი სიტყვა თქვეს და ნაოელი კვალი დატოვეს ფეხბურთში. ის თამაშად შეიძლება ჩავთვალოთ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად. 1982 წელს ჩატარდა მსოფლიოელთა, სპეციალისტთა და ჟურნალისტთა საკავშირო გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც შედგა ყველა დროის საკავშირო სიმბოლური ნაკრები. ქართველ ფეხბურთელთაგან მხოლოდ მურთაზ ხუციელავა და ალეშანდრე ჩიკაძე მოხვდნენ ამ ნაკრებში.

როგორც ცნობილია, სამი თვის შემდეგ, წლეულს, 30 აპრილს, საქართველოს ნაკრები თბილისში უნდა შეხვდეს რუსეთის ნაკრებს, სადაც გაირკვევა თუ ვინ მოხვდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ქვეჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე. იმისათვის, რომ არ დაკარგოთ ხელსაყრელი შანსი, ეს შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელებმა აუცილებლად უნდა მოიგონ, რითაც გაბარებენ არა მარტო მრავალრიცხოვან გულშემატკივარს, საერთოდ, საშობოლოს და ხალხს, არამედ კარგ სარეკლამო მიუძღვნიან „რკინის მცველს“, რომლის დაბადებიდან 60 წლისთავი ახლახან აღინიშნა.

ბუბუა ჩხეიძაძე



ფიდი წარმატება მურთაზ ხუციელავას სპორტულ ცხოვრებაში. მაღე იგი ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ნაკრებში ჩაირიცხეს და იტალიის ქალაქ სან-რემოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.

ერთი წლის შემდეგ, 1960 წლის საფეხბურთო სეზონის დამთავრებისას, ანდრო ეროდანიმ და დავით ცომაიამ მურთაზი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს, სადაც მისი დებიუტი 1961 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველსავე მატჩში შედგა. 1961 წელს ჩემპიონატის მხოლოდ 6 მატჩში მონაწილეობდა, მომდევნო, 1962 წელს კი უკვე 24 მატჩი ითამაშა და გუნდთან ერთად ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

1963 წელს, საკავშირო ჩემპიონატში, 33 მატჩში მოწინააღმდეგის კარში 1 გოლი გაიტანა. სეზონის დამთავრების შემდეგ „33 საუკეთესო ფეხბურთელთა“ სიაში დასახელდა. იმავე წელს საბჭოთა ნაკრების ცენტრალური მცველის როლში მოგვევლინა.

1964 წელს საკავშირო პირველობის მხოლოდ 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ მძიმე ტრავმის გამო მონაწილეობა ალარ მიუღია ქვეყნის ჩემპიონატის დაბაზეულ პირველობებში, და ბუნებრივია, ჩემპიონის ტიტულისა და ოქროს მედლის გადაწყვეტილებებში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, მურთაზ ხუციელავას თავის შშობლიურ კლუბში ბედი არ სწყალობდა, — ვერც ჩემპიონი გახდა და ვერც საკავშირო თასი მოიგო.

1965 წელს მ. ხუციელავამ საკავშირო პირველობაზე 21 შეხვედრა ჩაატარა. იმავე წელს ის უკვე საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების წევრია. ჯერ მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში სპერნრეთის ნაკრების წინააღმდეგ მიიღო მონაწილეობა, შემდეგ, სუდ მალე, „ბარაკანას“ სტადიონზე იმავითნელი მსოფლიოს ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ მოუხდა თამაში, ეს მატჩი 2-2 დამთავრდა. მაშინდელი პრესა განსაკუთრებით აღინიშნავდა მურთაზ ხუციელავას სიმაღლეთ თამაშს ლეგენდარული პელეს წინააღმდეგ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1961-1975 წ.წ. საკავშირო ჩემპიონატებში 302 მატჩში ითამაშა და გაიტანა 15 გოლი. გუნდთან ერთად ხუთჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. „33 საუკეთესო ფეხბურთელთა“ სიაში ათჯერ დასახელდა, აქედან — ექვსჯერ პირველ ნომრად.

მ. ხუციელავამ საბჭოთა კავშირის თასისთვის ბრძოლაში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 32 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. თასისათვის ბრძოლის ფინალურ მატჩში 1970 წელს მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ ითამაშა. მატჩი, სამწუხაროდ, მოსკოველთა გამარჯვებით 2-1 დასრულდა.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კლუბებთან ჩაატარა 42 საერთაშორისო შეხვედრა.

1966 წელს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში, სადაც მას ბრძოლა მოუხდა იტალიის ნაკრების სახელგანთქმულ ცენტრფორვარდთან სანდრო მაცოლათან, პორტუგალიელ ეუსებიოსთან და სხვებთან. აღსანიშნავია, რომ მ. ხუციელავას, თავის თანაგუნდელებთ ერთად

მოსკოვი, 1968 წლის 11 მაისი. სსრკ – უნგრეთი. მურთაზ ხუციელავას მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ მეტოქის კარში მეორე გოლიც გავიდა...

ბუბუა ჩხეიძაძე

გოჩა გავაშელი – 55

ვინ მოთვლის რამდენჯერ წარმოუთქვამთ ჩვენს რადიო და ტელეკომენტატორებს ფეხბურთის მოყვარულთათვის ესოდენ სანატრელი და აღმფრენი ფრაზა — „ბოლი გიიტანა გოჩა გავაშელმა...“

გოჩა გავაშელი გაგრის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. იქ გამოჩენილი მწვრთნელის რევაზ შარტავას ხელმძღვანელობით ეზიარა ტყვის ბურთის ბეერ საადეფლისს. ოცი წლის მოვიდა თბილისის „დინამოში“ და დებიუტშივე მიიქცია ყურადღება როგორც გოლეადორის თვისებებით დაჯილდოებულმა ფორვარდმა. მისი ნიჭის სრულად გამოვლენას დიდად შეუწყო ხელი იმდროინდელ თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად მოწვეულმა გამოჩენილმა სპეციალისტმა, ეიაჩესლავ სოლოვიოვმა. პირველსავე სეზონში გოჩა გავაშელი, ეპიზოდურად, მაგრამ მაინც, გამოუყვდათ მოედანზეც თბილისის „დინამოს“ ისეთი ვირტუოზების მხარდამხარ, როგორებიც იყვნენ: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გიგი ნოდია, კახი ასათიანი, გიორგი სიჭინავა და სხვები.

1967 წელი საფეხბურთო სეზონში გოჩა გავაშელმა დებიუტანტივითაც უჩვენეთ შედეგი აჩვენა და გაიტანა 7 გოლი, მას მხოლოდ გამოცდილმა და შედეგიანმა ფეხბურთელებმა გიგი ნოდიამ (13 გოლი) და სლავა მეტრეველმა (8) გაუსწრეს — მომდევნო 1968 წლის საფეხბურთო სეზონში, ყველასათვის მოულოდნელად გოჩა გავაშელი 22 გატანილი გოლით მომბარდირად მოეკლინა თბილისის „დინამოს“ სახელოვან კოლექტივს, თანაც საგრძნობლად ჩამოიტოვა უკან მეორე ადგილზე გასული სლავა მეტრეველი (9 გოლი). ამავე სეზონში გამოჩნდა თბილისის „დინამოში“ ქუთაისის „ტორპედოდან“ სერგო კუტიავაძე. ორივე გადაეცა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. აქვე დავუმატებთ, რომ სწორედ იმგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსულისას შერჩეულ მას „რკინის მცველი“.

გვიანდა გავიხსენოთ 1967 წელი, როდესაც „რკინის მცველი“ — მურთაზ ხუციელავა, თბილისის „დინამოს“ მაშინდელმა უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა საკავშირო ჩემპიონატის მატჩში მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ მარჯვენა გარეშარბად გამოიყვანა. ამ გამგებლემა ეფსპერიმენტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოხდა სრული მეტამორფოზა — გარდასახვა, ჩამოყალიბებული მცველი შეეფარებელ თავდასმსმელად გარდაიქმნა. მას ვეროვინ აკავებდა და ერთთავად სულ შეტევებში იყო ჩართული. სწორედ მურთაზის თავგანწირულად და შეუპოვარი თამაშით ხელეწიფა მატჩი თბილისელებმა გამანადგურებელი ანგარიშით 5-1 მოიგეს. ერთი გოლი თავად მურთაზმა გაიტანა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ის სეზონში თბილისელებმა მოწინააღმდეგეებს კარი 53-ჯერ დალაშქრეს წარმატებით და ყველას, მათ შორის იმედგაწყვეტილ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს, — კიევის „დინამოელებსაც“. კი აჯობეს ამ მაჩვენებლით.

1967 წელს მ. ხუციელავა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მოწაწილეობდა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონების, ინგლისელების წინააღმდეგ. მატჩი 2-2 დასრულდა. თამაშის შემდეგ ბრიტანელი პრესა განსაკუთრებით უსვამდა ხაზს მ. ხუციელავას ძალზე კარგ თამაშს, აღფრთოვანებით გამოყოფდა და აღნიშნავდა, რომ მანამდე ბრიტანეთის ჟურნალისტს არ უნახავს მისნაირი მაღალი დონისა და კვალიფიკაციის მცველის თამაში...

1968 წელს მურთაზ ხუციელავას მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ამ დროს იგი ქვლავ საბჭოთა ნაკრების წევრია კახი ასათიანთან და გიგი ნოდიასთან ერთად იმავე წელს 11 მაისს, მოსკოვში, ლუჟნიკების სტადიონზე, გაიმართა ალბერტ შესტერნიოვმა, გამოიფანარა, საბჭოთა ნაკრები მინდორზე, მოიხსნა კაპიტნის სამკლაური და მურთაზ ხუციელავას გადუცვა. ქართველ ფეხბურთელთა სახელოვანი პლეადიდან მურთაზ ხუციელავას პირველს ხვდა საბჭოთა ნაკრების კაპიტნობა. მას ბეედა არგენა ყოფილიყო მრავალეროვანი შემადგენლობის გუნდის წინამძღოლი. ეს იყო ქართველი ფეხბურთელისადმი პატივისცემა, აღიარება და მისადმი დიდი ნდობის გამოცხადება. ყოველივე ეს მურთაზმა დაიმსახურა თავდადებული, დაფდალავი ჯაფთი, თამაშის მაღალი ოსტატობით და კლასით, ტემპერამენტით და, რაც მთავარია, წინამძღოლისათვის დამახასიათებელი ორგანიზატორული ნიჭით.

მ. ხუციელავას არაერთხელ უთამაშია წარმატებით ისეთი ფორვარდების წინააღმდეგ, როგორებიც იყვნენ: — სტრელცოვი და ბიშოვეცი, გერმანელი მიულერი, ინგლისელი პერსტენი, შოტლანდიელი ლოუ პოლონელი ლიუბანსკი, პორტუგალიელი ტორესი, უნგარელები ფარკაში და ვარგა, ბრაზილიელები პელე, ტოსტო და ეკორნინიო.

მ. ხუციელავა იმ გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთა კომპორტას მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი საფუძვლიანი სიტყვა თქვეს და ნაოელი კვალი დატოვეს ფეხბურთში. ის თამაშად შეიძლება ჩავთვალოთ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად. 1982 წელს ჩატარდა მსოფლიოელთა, სპეციალისტთა და ჟურნალისტთა საკავშირო გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც შედგა ყველა დროის საკავშირო სიმბოლური ნაკრები. ქართველ ფეხბურთელთაგან მხოლოდ მურთაზ ხუციელავა და ალეშანდრე ჩიკაძე მოხვდნენ ამ ნაკრებში.

როგორც ცნობილია, სამი თვის შემდეგ, წლეულს, 30 აპრილს, საქართველოს ნაკრები თბილისში უნდა შეხვდეს რუსეთის ნაკრებს, სადაც გაირკვევა თუ ვინ მოხვდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ქვეჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე. იმისათვის, რომ არ დაკარგოთ ხელსაყრელი შანსი, ეს შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელებმა აუცილებლად უნდა მოიგონ, რითაც გაბარებენ არა მარტო მრავალრიცხოვან გულშემატკივარს, საერთოდ, საშობოლოს და ხალხს, არამედ კარგ სარეკლამო მიუძღვნიან „რკინის მცველს“, რომლის დაბადებიდან 60 წლისთავი ახლახან აღინიშნა.

ბუბუა ჩხეიძაძე

P.S. გაზეთ „ტორედის“ რედაქციის მიერ დაწესებული პრიზი საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისათვის 1968 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგებით გადაეცა გოჩა გავაშელს (22 გოლი).

ᲘᲒᲐᲚᲘᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ...

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპისთვის სამზადისი დაიწყო საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა.

UEFA UNDER-19 Championship

ოთარ კორძაიასის შვეიცარიები დიდების სპორტულ მანეგში ვარჯიშობდნენ და მზადების პირველი ეტაპი ორი საკონტროლო მატჩით დასრულეს. ჯაბუკია ნაკრების მეტოქე, ჯერ თბილისის „იუტ ჯორჯია" იყო. ვეტერინარებთან მატჩში ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: თოთლაძე, იმედაშვილი, კაშია, ლაშა ჟღენტი, წოლოსანი, ქენჩია, კაკურავა, გიორგი ნუგზარის ძე ჟღენტი, ხოჭავა, გიორგი ნოდარის ძე ჟღენტი, მარცალაძე. შეცვლილ შვეიდნენ: სილაგავა, მაჭავარიანი, გაბელია, კუკულავა, მალიჩიავა და ფოფხაძე.

გუშინწინ ნაკრებს გორის „დილამ" უმასპინძლა. ვერც ერთი მატჩი ნაკრებმა ვერ მოიგო. ეიტლენთან 0-1 დამარცხდა, ხოლო გორელებთან ფრეს (3-3) დასჯრდა. კორეალიძეს ახალშვეულთა მზაღვაფნის დონე ადარდებს, რამდენიმე ფეხბურთიელთ, ასე თუ ისე, ქმაფილია. გორში ნაკრებმა შეხვედრა ასე დაიწყო: თოთლაძე, იმედაშვილი, ლაშა ჟღენტი, კაშია, წოლოსანი, ქენჩია, კაკურავა, დარსანია, ხოჭავა, სანერო იაშვილი, მაჭავარიანი. მეორე ტაიმში სათადარიგოებიც გავიდნენ მინდორზე: ჭილიფთარი, გიორგი ნოდარის ძე ჟღენტი, გიორგი ნუგზარის ძე ჟღენტი, კუკულავა, გაბელია, სილაგავა, ფოფხაძე. ნაკრებდან გოლები გაიტანეს: სანერო იაშვილმა პენალტით და ორჯერ, შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ნოდარის ძე ჟღენიძემ. სტუმრებს, მასსინძლებმა სუფთანაშვილის, ხმალაძისა და ბორჯაფშვილის პენალტიდან გატანილი გოლებით უპასუხეს. კორეალიძე ნაკრებს კიდევ რო სპურთნელ შეკრებას ჩაუტარებს თებერვლისა და მარტში. 23 აპრილს ი 19-წლამდელები დასკვნით შეკრებას გაიკეთან იტალიაში მაისის პირველ რიცხვებში, იქვე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებიც დაიწყება.

„ᲥᲝᲯᲐᲔᲚᲘ" ᲒᲐᲫᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲓᲐ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

თურქეთის იზმითის „ქოჯაელი", რომელიც ჩემპიონატში, ჯერჯერობით, ბოლო ადგილზეა, ახლა უკვე ყოფილი ქუთაისელები, გიგი დიდავა, რეკეტ ჭუმაულიძე და ოსური „ალანიას" კუთვნილება გრიგოლ იმედაძე — საბოლოოდ დაიტოვა.

თურქეთმა დიდავა იყიდეს, ჭუმაულიძე და იმედაძე იჯარით აიყვანეს. სამ ქართველს, სავლითი შესაძლებელია, რუსული „ლოკომოტივს" კუთვნილება ბოლო ხანს, ზაზა ჯანაშიაც დაემატოს, რომელიც მანამდე თბილისური ლოკომოტივში თამაშობდა და ახლა თურქეულ კლუბში ვარჯიშობს.

„ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ" ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘᲐ

საკართველოს 19 წლამდელთა ნაკრების დამარცხების შემდეგ თბილისის „იუტ ჯორჯიამ" სეზონისთვის მზადების მეორე ეტაპი დაიწყო. კარნეკეულ ვეტერინარები თურქეთს ეწვიენენ და დაბა ბელეკში ორკვირიან შეკრებას გაიკეთან. თურქეთში გამეზადებულან ფეხბურთელებს შორის არ არიან მეკარე სერგო ჭერაძე, რომელსაც ტრავმა აწუხებს და სხვა კლუბში გადასვლის მომლოდინე დავით ჭოფაშვილი, რეგაზ გოცირიძე და ბესიკ თეფლარაძე, გიორგი ყიფიანი, რომლის ახალი კლუბი, სპარაუდოდ, რიგის „სკონტო" იქნება, შეიძლება ვიტყოვნა თურქეთში შეეცერთდეს. მთელინობაში „იუტ ჯორჯიას" საოფიცეთო განაცხადი ასეთია: *მეკარეები:* ბირზა მეტრანაი, დავით მამარდაშვილი; *მცველები:* დავით იმედაშვილი, ლევან მერებაშვილი, თენგიზ კოტიბაშვილი, ჯაბა მოჭარიძე, დავით ზაზაშვილი, გიორგი კვახაძე, აღუქანაძე იწყერეფილი, დავით ლომაია; *ნახევარმცველები:* გიორგი ფეიქრაშვილი, ლაშა ნოხაძე, დავით დოლიძე, დავით ბოლქვაძე, დავით დიღმელაშვილი, პაატა დათუნაშვილი, ოღელ გელეესანიძე, ირაკლი მალიჩავა; *თავდამსხმელები:* გიორგი ადამია, ალბა ბერეულიძე, ვლადიმერ გოსპაშვილი, ლევან მელქაძე, ერეკლე მერებაშვილი, ოთარ მარცალაძე და ლაშა ალადაშვილი.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲠᲔᲗᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲙᲐᲠᲘᲡᲚᲘ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲔᲥᲛᲔᲑ

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა" ბოლოს ჩატარებულ საწერნინელ მატჩში ადგილობრივ „ანთალიას" კიდადარშვილის ორი, სირაძის, სოსეფიას, ძოძუაშვილის, ვალაკურიოსა და მუშაკუფიანის გოლებით 7-0 მოუგო. რკინიგზელებმა წეხსაბეგბ მატჩი ორი შემადგენლობით ჩაატარეს: ლომაია (ივარდეა), ბალაშვილი (მორჩილაძე), რ. ონიანი (კაკაშვილი), სალუქვაძე (ე. ონიანი), ორბელაძე (ვალეაური), ჭიჭვეიშვილი (სოსელია), ბალიაური (ვალასოფი), სირაძე (მუშაკუფიანი), კიდადარშვილი (ძოძუაშვილი), ლაცაბიძე (ეოგანაშვილი), რუსია.

უხეკოლნილ მატჩის მიუხედავად, თბილისელთა მწერთნელი ლეონ ცაკირიანი თავდასმსხმელების ძიებაშია და ლეონიფრებს ამოწმებს. „ლოკომოტივის" რიგებში ისინაუნიან: ბუფლგარელი გეორგი ზდრაკოოვი, განელი ნანა ეშუანი და კიდევ ერთი ფორვარდი, რომელსაც ცაკარიანი პორტუგალიიდან ელის, მარკო ლეგარტოა. თუ არაფერი შეიცვალა, ეროი კვირის განმავლობაში რკინიგზელები ოუსულ და უარიანულ გუნდებთან რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ და ზემოთ ნახსენები უცხოელების დაკვირდება.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲔ ᲚᲝᲜᲓᲚᲐᲫᲔ: ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲡᲐ – ᲐᲠᲐ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲪᲘᲠᲝᲜᲘᲢᲔᲢᲘ

მალხაზ ლონდლაძე. დაიბადა 1969 წლის 14 ნოემბერს, ზესტაფონში. დედის წინაალმდეგობის მიუხედავად, ბურთის დევნა მაინც დაიწყო, რამაც საბოლოოდ ზესტაფონის „მეტალურგში" მიიყვანა. 1990 წლიდან გამოდიოდა „მარგვეთის" შემადგენლობაში. 1997 წელს – რუსთავის „ლორდში". 2000 წელს – ლანჩხუთის „გურიაში". 2001 წლიდან ზესტაფონის „მეტალურგშია". 1996 წელს „მარგვეთთან" ერთად გახდა საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი. უცოლოა. ჰყავს მშობლები, და.



● *1996 წელს ზესტაფონის „მარგვეთმა" დიდ წარმატებებს მიაღწია. შენ კი ამ გუნდის კაპიტანი იყავი. როგორ გაიხსენებდი იმდროინდელ „მარგვეთს"?*

— ჩემი აზრით, „მარგვეთი" ძალიან კარგი გუნდი იყო. სწორედ იქ ჩამოვაყალიბეთ ნამდვილი, პროფესიონალი ფეხბურთელები.

● *შეხვდით მალტის გუნდს, სადაც შენ ერთი გოლი გაიტანე, კაპიტანიც იყავი და გაკვეთელილად ბევრი რამ შენზეც იყო დამოკიდებული...*

— ეს გოლი მართალი გითხრა, ისე მოულოდნელად გავიტანე, დავიბენი კიდეც. დეტალების გახსენება კი ძალიან მიჭირს. მოყლედ, მე რაც შევეწეო, ის გავაკეთე.

● *ალბათ, სახიათოვნი იყო, როცა პატარა ქალაქის გუნდი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი ხდება...*

— გეთანხმები. ჩემთვის, მთელი გუნდისთვის და ქალაქისთვის ეს მართლაც ბევრს ნიშნავდა. უკვე ვთქვი, რომ კაპიტანი ვიყავი და რადაც პასუხისმგებლობა მეც მეკისრებოდა. გუნდი შეკრული იყო მიზნისთვის ბრძოლაში. ესაა მთავარი.

● *ახლა „მეტალურგ"ში "გამოდიხარ. ამგუნდს დიდი ხანია წარმატებებისთვის ალარ მიუღწევია. მიზეზი კი ყველასათვის ცნობილი პრობლემა, — უსახსრობაა. ხომ შეიძლებოდა, მიგებს პრობლემებისთვის ყურადღება არ მიექცია და ეთამაშა ნამდვილი ფეხბურთი.*

— როგორ არა. შეიძლებოდა. მაგრამ ალარ იყო ძველი ენთუზიაზმი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგი ფეხბურთიელი მოწყვეული და ელექტრონულად თუნდაც ის ხომ უნდა ინახულაურონ, რასაც ხარჯავდნენ, თანაც მათ უკან ხომ ოჯახებიაა. აი, რატომ გაკარი ენთუზიაზმი.

● *მაყურებელი არც ისე ბევრი მოდიოდა სტადიონზე...*

— გარკვეულწილად, ცხადია, ამანაც იმოქმედა. თან, რა არის იცი? — ყველაზე ცუდია, როცა რაინნი არ იჩენს დინტერესებს. თავიდან ბევრი გულშემატკივარი მოდიოდა თამაშებზე. შემდეგ სტადიონს დისკვალიფიკაცია მისცეს. თერჩოლასა და სხვა რაიონებში ადგილობრივ მაყურებელს ნაკლებად ინტერესებდა ჩვენი თამაში. ყველაფერმა ამან ჩვენზე ცუდად იმოქმედა და ხასიათიც გაგვიფუჭა.

● *ერთ-ერთ თქვენს თამაშს, თერჩოლაში მეც ვეწვერებოდი. მაშინ „ლოკომოტივს" ხვდებოდით, მაყურებელი კი ბლომად იყო, ამაზე რას იტყვი?*

— ეს იმიტომ, რომ „ლოკომოტივს" ეხვდებოდით, ყველას ინტერესებდა, თუ როგორ ვითამაშებდით. მაგრამ ისიც გემახსოვრება, რა თამაში ვინახეთ ფეხბურთის მოყვარულებს.

● *მახსოვს, როგორ არა. მოდი, „მეტალურგის" პრობლემები დავივიწყოთ. იქნებ მითხრა, თუ გქონია უცნაური გუნდიდან შემოთავაზება?*

— იყო ფინეთიდან, 1991-92 წლებში. ისე, ძირითადად მაინც რუსეთის გუნდებში მიწვეულნენ, მაგრამ ვერ ვთანხმდებოდი.

● *რატომ?*

— იმ დროს „მარგვეთში" ეთამაშობდი, წარმატებებიც გვქონდა და ნამდვილად არ მინდოდა მშობლიური კერის დატოვება.

● *ქართველი გუნდებიდან თუ იყო შემოთავაზებები?*

— დიახ, სამტრედიიდან. კარგ პირობებსაც მპირდებოდნენ, მაგრამ როგორც ვახსენე, ჩემს ზესტაფონს ვერ ეუღალატე.

● *გამოდის რომ, ფეხბურთს შენს ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია...*

— კი, ასეა. შეიძლება ითქვას — უმთავრესი. თავიდან რომ დავიბადეო, მაინც ფეხბურთს ავირჩევდი.

● *ფეხბურთელი არაფრისგან არაა დაზღვეული, ალბათ, ტრავმებიც გაგწყეტიდა...*

— თითქმის ერთი წელიწადი ვერ ვთამაშობდი, კუნები გამიწყდა. ვერ ვნაბე ისეთი ეჭიმი, ვინც მომპარჭენდა, შემდეგ კი ერთმა უსინათლომ მიმკურნალა.

● *ეს როგორ?*

— სეანსებს თითებით ატარებდა, მაღე სრულიად განვიკურნე. გინდ დაიჯერე, გინდ არა, მეც სასწაულად ჩავთვალე.

● *გამოდის რომ, სასწაულების კერაა...*

— იმ აბის შემდეგ — კი.

● *თუ წაბეკალ მარნიეულთან შენი მომავალის გასაგებად?*

— მკითხავებს ვერ ვიტან...

● *მაგრამ ხომ კერაა...*

— მჯერა სასწაულების, მაგრამ მკითხავთან არასოდეს მივალ.

● *ხაბრის დასაწყისში ამბენე, რომ შენი არჩევანის წინააღმდეგ დედა იყო, რატომ?*

— არ სურდა სწავლისთვის თავი დამეგებებინა. სამწუხაროდ, დედას სურვილი ვერ ავფსრულეთ.

● *დედის სურვილს რომ ამყოლოდი, რა პროფესიას აირჩევდი?*

— სკოლის პერიოდში ძალიან მიყვარდა ისტორია, ალბათ, ისტორიულზე ჩავაბარებდი.

● *ჩვენ ახლა სკოლაში ვსაუბრობთ, როგორ გაიხსენებ აქ გატარებულ თერმიტ წელს?*

— შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ხანდახან ნოსტალგია მიპყრობს ხოლმე.

● *ამიტომ მოდიხარ ხშირად სკოლაში?*

— ნამდვილად ასეა.

● *მოსწავლეობიდან ოდინდელ რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებ?*

— ერთხელ ალგებრის მასწავლებელმა გამაფრთხილა გაგიძახებო. მე კი ეს სიგანი არ მიფარავდა. მოელი ღამე ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა და აი... ჭიბეში ჩავიდე გადუუმებული თერმომეტრი, რომელიც 38 გრადუსს უჩვენებდა. გაკვეთილზე გაძახების წინ მასწავლებელს შეეჩიენე რომ სიცხე მქონდა. არ დამიჯერა. ეკითხა მოუხმო. მე თერმომეტრი ოსტატურად შევეკვალე... სამი დღით გამათავისუფლეს, მაგრამ ჩემი ოინობა ბოლოს მაინც გაიგეს (იცინის).

● *კლასელებს თუ ხვდები?*

— სამწუხაროდ, ბევრი რუსეთშია წასული. ვინც აქ დავრჩით, ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებით.

● *შენი იდეალი ცხოვრებაშია...*

— დედა!

● *როგორი ხარ სპორტული სამყაროს მიღმა?*

— ძალიან ფიცხი. თანაც მატჩი თუ წაგაგეთ, საერთოდ, აუტანელი ვარ.

● *აზარტული თუ ხარ?*

— კი, ძალიან!

● *ჩხუბსაც ზარტად ხომ არ თვლი?*

— მოეფანზე კი, ისე — არა.

● *რატომ მოედანზე?*

— რას გადამეკიდე, მაშინ ერთი ბრძენის სიტყვებს გავიმეორებ „ჩხუბში ის არის დამნაშავე, ვინც ქვეანია".

● *წაგებიან შემდეგ აუტანელი ვარო. გაბრაზებული როგორ ოიკეტ ნერვებს?*

— ყველამ, მათ შორის ოჯახში, იციან ჩემი ხასიათი და ცდილობენ არ გამაღიზიანონ. ჩემთვის ეზოკარ ტელეფონზორთან და ხმას არ ვიღებ. ამით უფრო ვიმშვიდებ თავს.

● *ტელევიზიით რას უყურებ...*

— პოლიტიკა ნამდვილად არ მაინტერესებს, ახალ ამბებს კი სიამოვნებით ვუყურებ.

● *და მაინც, თავად რომ იყო პოლიტიკოსი, მაშინ რას იზამდი?*

— ხალხზე ვიზრუნებდი. არ ვაპირებ პოლიტიკოსობას, მაგრამ თუ მაინც გავიდი, აუცილებლად ისე მოვიქცევი, როგორც უკვე ვთქვი.

● *რაზე ოცნებობ?*

— შეეკრნა საკუთარი ოჯახი და, ეშველოს ფეხბურთს.

● *რას გულისხმობ ფეხბურთის შველაში?*

— ყველაფერს, რაც საკართველოს გუნდებს მსოფლიო სარბიელზე გაიოვნს და წარმოაჩენს.

● *ღმერთმა გიხმინოს...*

— გვისმინოს!

P.S. როგორც უკვე ვახსენე ჩვენი საუბარი იმ სკოლაში შედგა, რომელიც მან დაამთავრა. ახლა კი იქვე მწვრთნელად მუშაობს. ამაგე დროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაშიც სწავლობს სამწვრთნელო ფაკულტეტზე.

ესაუბრა
ლეილა ბანაკოტაძე

ᲐᲜᲝᲜᲡ 101



„101 ვარჯიში 7-11 წლის ნონარი ფეხბურთელებისთვის" ანუ გადადგომ პირველი ნაბიჯები საფეხბურთო ოსტატობის მწვერვალისკენ. ამ ვარჯიშებით დაიწყო დოსტატება ბეჭმემა, ინგლისის სხვა საფეხბურთო ვარსკვლავმა.

პირველად საქართველოში, პირველად ქართულ ენაზე, მხოლოდ „ლეელის" და „ქართული ფეხბურთის" ფურცლებზე, 4 თებერვლიდან გაეცნობით ზეშთსენებულ 101 მაგიურ ვარჯიშს, რომლის ავტორია ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი მალკოლმ კეკი და, როგორც წიგნის ანოტაციაში გკითხულობთ, განკუთვნილია არა მხოლოდ ჭაბუკი ფეხბურთელებისთვის, არამედ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისა და სექციებისთვის, სკოლების ფიზიკურ-მასწავლებლებისთვის, ჭაბუკ ფეხბურთელთა მშობლებისთვის, ქალთველთა ფართო წრისთვის.

მაშ ასე, 4 თებერვლიდან...

სპორტულ სკოლებს, სექციებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შეუძლიათ, ჩვენნაგზეთის ნომრებში ზემოხსენებულთა პუბლიკაციათ ნახეგარ ფაშში მიიღონ მხოლოდ რედაქციაშმი მიღებული წინასწარი დაკვეთთან.

„ლელეი", „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ"

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„რასინგის“ პრეზიდენტს რომარიოს ყიდვა სურს



ესპანური საფეხბურთო კლუბ „რასინგის“ ახალი პრეზიდენტი დმიტრი პიტერმანი მოლაპარაკებებს აწარმოებს ბრაზილიელ რომარიოსთან. პიტერმანს სურს, ეს ფეხბურთელი „რასინგის“ შემადგენლობაში იხილოს.

მიუხედავად იმისა, რომ რომარიო (სურათზე) ამჟამად ბრაზილიურ კლუბ „ფლემინენსეს“ ეკუთვნის, ფეხბურთელს და გუნდს შორის ამ ერთი თვის წინათ გაფორმებულ კონტრაქტში არის ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც, რომელიმე კლუბის დაინტერესების შემთხვევაში, რომარიოს „ფლემინენსეს“ დატოვებაში ხელს არავინ შეუშლის.

თავად რომარიო, რომელიც ამჟამად 37 წლისაა, აცხადებს, რომ სურვილი აქვს თავისი საფეხბურთო კარიერა ევროპაში დაასრულოს. უპირატესობას ბრაზილიელი ესპანეთს ანიჭებს.

დმიტრი პიტერმანმა, იყიდა რა ამ ცოტა ხნის წინ „რასინგის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პირველ დღეებშივე გადაწყვიტა რომარიოსთან საბოლოოდ მოლაპარაკებების გამართვა. რომარიოს ტრანსფერის ბედი 31 იანვარს გადაწყდება. სწორედ ამ დღეს იხურება ევროპის ზამთრის სატრანსფერო ბაზარი.

პარეირამ შემადგენლობა დაასახელა

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ 12 თებერვალს ჩინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩისწინა შეკრებაზე შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა.

მეკარეები: დიდა („მილანი“, იტალია).

მცველები: როკე ჟუნიორი („მილანი“, იტალია), ბელეტი („ვილიარეალი“, ესპანეთი), კაფუ („რომა“, იტალია), ედმილსონი („ლიონი“, საფრანგეთი), ჟუანი („ლევერკუზენი“, გერმანია), ჟუნიორი („პარმა“, იტალია), რობერტო კარლოსი („რეალი“, ესპანეთი).

ნახევარმცველები: ემერსონი („რომა“, იტალია), ფლავიო კონსეისაო („რეალი“, ესპანეთი), ჟილბერტო სილვა („არსენალი“, ინგლისი), ჟუნინიო პერნაბუკანო („ლიონი“, საფრანგეთი), ზე რობერტო („ბაიერნი“, გერმანია).

თავდამსხმელები: რივალდო („მილანი“, იტალია), ადრიანო („პარმა“, იტალია), ამოროზო („დორტმუნდი“, გერმანია), დენილსონი („ბეტისი“, ესპანეთი), რონალდინიო (პსჟ, საფრანგეთი), რონალდო („რეალი“, ესპანეთი).



პარეირა

თარიღი — სტენლი მეტიუზი

1915 წლის 1 თებერვალს დაიბადა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა სტენლი მეტიუზი, რომელიც დღემდე ბრიტანული ფეხბურთის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება. სტენლი მეტიუზი ორჯერ სცნეს ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად: პირველად — 1948 წელს, მეორედ — 1963 წელს, როცა იგი უკვე 48 წლისა (!) იყო. მონაწილეობდა მსოფლიოს 1950 და 1954 წლების ჩემპიონატებში. 1956 წელს გახდა „ოქროს ბურთის“ პირველი მფლობელი. 1965 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II ინგლისური ფეხბურთის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, სტენლი მეტიუზს მიანიჭა რაინდის ტიტული. გარდა ამისა, მოედანზე ჯენტლმენური ქცევისათვის იუნესკომ, გამონაკლისის სახით დააჯილდოვა პრიზით „ფეირ ფლეი“.

სტენლი მეტიუზი გამოირჩეოდა არა მხოლოდ ვირტუოზული თამაშით, არამედ გამძლეობითაც. მან საფეხბურთო კარიერა 50 წლის ასაკში დაასრულა! მეტიუზი ფლობდა სხვადასხვა ფინტების მდიდარ არსენალს, აკეთებდა ზუსტ გადაცემებს, რომლის შემდეგაც პარტნიორებს გოლის გატანის გარდა, არაფერი რჩებოდათ.

ჯარიმა გოლის გატანის სიხარულის არაორდინარულად გამოხატვისათვის

საფეხბურთო კლუბ „სანტო ანდრეს“ (ბრაზილია) ფეხბურთელი ნუნიესი 5 ათასი დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ „სან პაულუ ჟუნიორის“ თასის გათამაშების ფინალში, „პალმეირასთან“ მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში გადამწყვეტი გოლის გატანისთანავე ოთხზე დადგა და... ლორის იმიტაცია გააკეთა, ამან აღაშფოთა „პალმეირასის“ ფანატები, რომლებმაც გაარღვიეს პოლიციელთა კორიდორი და მოედანზე შეიჭრნენ. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ თილისმა სწორედ რომ... ეს შინაური ცხოველია.

არგენტინელებმა სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგეს

კოლუმბიის ნაკრების კარში არგენტინული საფეხბურთო კლუბ „რივერ პლეიტის“ თავდამსხმელის ფერნანდო კავენაგის მიერ მატჩის 75-ე წუთზე გატანილმა გოლმა არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ტიტული მოუტანა. არგენტინის ნაკრებმა საბოლოო შედეგებით ქულით გადაუსწრო ბრაზილიის გუნდს. მესამე ადგილზე გავიდა პარაგვაის ნაკრები, მეოთხეზე – კოლუმბიის გუნდი.

გარდაიცვალა მილოშ მილუტინოვიჩი

ოთხშაბათს, ბელგრადში გარდაიცვალა მილოშ მილუტინოვიჩი, ცნობილი მწვრთნელის ბორა მილუტინოვიჩის უფროსი ძმა. მილოში თავის დროზე იუგოსლავიისა და გერმანიის კლუბების ღირსებას იცავდა. 1958 წელს ის მიუნხენის „ბაიერნში“ მიიწვიეს. 70-იან წლებში უფროსი მილუტინოვიჩი ბელგრადის „პარტიზანს“, ხოლო მოგვიანებით იუგოსლავიის ნაკრებსაც წვრთნიდა.

ჩილავერტი მალდინის აკრიტიკებს

ანუ როგორ მიატოვა ჩეზარემ პარაგვაის ნაკრები შუა მატჩის დროს...

პარაგვაის ნაკრების ლეგენდარულმა გოლკიპერმა ხოსე ლუის ჩილავერტმა კრიტიკის ქარ-ცეცხლი „დაატეხა“ იტალიელ მწვრთნელ ჩეზარე მალდინის, რომელიც პარაგვაელთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ჩილავერტის აზრით, მალდინიმ ვერ გამოამჟღავნა პრინციპული ხასიათი მთელ რიგ მომენტებში, რის გამოც ფეხბურთელთა ნაწილი თვითნებურად მოქმედებდა. განსაკუთრებული ყურადღება გოლკიპერმა სლოვენიის ნაკრებთან გამართულ შეხვედრაზე გაამახვილა. ეს იყო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი და პარაგვაელებს ის აუცილებლად უნდა მოეგოთ, რათა 16 უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრილიყო, პირველი ტაიმის შემდეგ სლოვენიის ნაკრები 1-0 იგებდა და რიცხობრივ უპირატესობასაც ფლობდა. მალდინიმ მოულოდნელად, მატჩი... მიატოვა და იტალიის ნაკრების თამაშის სანახავად გაეშურა. ამან იმდენად გააცოფა პარაგვაელები, რომ მეორე ტაიმში შეტევაზე გადავიდნენ, გაიმარჯვეს 3-1 და მერვედფინალის საგზურიც მოიპოვეს. ამავე დროს, საუბარი პრინციპულად დაიწყს თავიანთ ენაზე, რაც მალდინის არ ესმოდა...

ჩილავერტი

ჩეზარე მალდინი

ახრიკ ცვეიბა „ტორპედო-მეტალურგს“ წვრთნის

ამ დღეებში, მოსკოვის საფეხბურთო კლუბმა „ტორპედო-ზილმა“ არა მხოლოდ სახელი გამოიცვალა, არამედ მწვრთნელიც. გუნდი ამიერიდან „ტორპედო-მეტალურგის“ სახელწოდებით იასპარეზებს და დადასტურდა, რომ მას გაწვრთნის ქართველებისათვის კარგად ცნობილი ახრიკ ცვეიბა, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში იცავდა კიევის, მოსკოვის, თბილისისა და სოხუმის „დინამოს“ სახელს. თამაშობდა საბჭოთა კავშირისა და დსთ-ს ნაკრებთა შემადგენლობაში.

„მოხარული ვარ, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ნდობა გამომიცხადა. მე პირველად შევუდექი ასეთი მოვალეობის შესრულებას“ — განაცხადა ცვეიბამ.

ომარ თეთრაძე „სპარტაკ-ალანიიდან“ მიდის

ომარ თეთრაძე

საფეხბურთო კლუბ „სპარტაკ-ალანიას“ ლიდერი და კაპიტანი ომარ თეთრაძე უკმაყოფილოა კლუბის მხრიდან კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით და ვლადიკავკაზის დატოვება გადაწყვიტა.

„ძნელი იყო ჩემთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რამდენადაც ვლადიკავკაზი მშობლიური ქალაქივით მიყვარს“, — აცხადებს ომარ თეთრაძე.

გერმანია – რუსეთის მატჩი აღარ გაიმართება

2 აპრილს დანიშნული ამხანაგური მატჩი გერმანიისა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის აღარ გაიმართება, რადგან გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ის ქვეყნის მთავარი გუნდების თამაშების კალენდარში არ ჩასვა. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ისღა დარჩენიათ, ახალი პარტნიორი ეძებონ. აქვე გეტყვით, რომ რუსები 12 თებერვალს ამხანაგურად გაეჯიბრებიან კვიპროსელებს.

დაიკარგა ფეხბურთელი

ბელგიის პოლიცია ჯერჯერობით უშედეგოდ ეძებს საფეხბურთო კლუბ „ლა ლუვიეს“ მოთამაშეს რაშიდ ბელაბედს, რომელიც ერთი კვირის წინ სახლიდან გასული უგზო-უკვლოდ დაკარგულა. კლუბის ხელმძღვანელობას არანაირი ცნობები არ გააჩნია, თუ რის საფუძველზე შეიძლება მომხდარიყო მაროკოელი წარმოშობის ბელაბედის უეცარი გაუჩინარება.

მსაჯს 10 წლით თავისუფლება აღუკვეთეს

ჩინეთში დაიწყეს გააფთრებული ბრძოლა ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ. პეკინში გაიმართა სასამართლო პროცესი მსაჯისა, რომელსაც ბრალად ქრთამის აღება ბრალდებოდა.

საბოლოოდ დადგინდა, რომ იან პინ გონი რამდენიმე მატჩში არაობიექტური მსაჯობის საფასურად იღებდა ქრთამს. ამ გზით მან 45 ათასი დოლარი დააგროვა. პეკინის სასამართლომ მექრთამე მსაჯს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პასარელას თავში ჭექუნა მოხვდა

მექსიკური ფეხბურთის მამები შეშფოთებულები არიან ამ ქვეყნის სტადიონებზე გულშემატკივართა თავხედობით. ორიოდე დღის წინ, სტადიონზე მისულმა ერთმა 21 წლის გულშემატკივარმა ცალი თვალი დაკარგა, მიზეზი კი ტრიბუნაზე გვერდით მეზობლად მჯდარი ფანატის მიერ აფეთქებული ჭექუნა იყო. გარდა ამისა, ჭექუნა თავში მოხვდა მსოფლიო ჩემპიონს, არგენტინის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს დანიელ პასარელას. ყველაფერი ეს კი მეხიკოს ოლიმპიურ სტადიონზე მოხდა, როცა პასარელას „მონტერეი“ „უნამს“ მასპინძლობდა. მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა თავნება გულშემატკივართა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას აპირებს.

ბიელსამ შემადგენლობა დაასახელა

არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ ფეხბურთელები საწვრთნელ შეკრებაზე გამოიძახა, რადგან მომავალ კვირაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ამხანაგური მატჩი ელის ჰოლანდიის ნაკრებთან. აი ფეხბურთელთა სიაც.

მეკარეები: **კაბლო კავალიერო, რობერტო ბონანო.**

მცველები: **რობერტო აიალა, ფაბრიციო კოლოჩინი, უოლტერ სამუელი, მაურისიო პოკეტინო, ფაკუნდო კუიროგა, ლიონელ სკალონი, ხუან პაბლო სოსინი, დიეგო პლასენტე.**

ნახევარმცველები: **პაბლო აიმარი, ხავიერ ძანეტი, მარსელო გალარდო, მაურო ჩეტო, ხუან სებასტიან ვერონი, ესტებარ კამბიასო, სანტიაგო სოლარი.**

თავდამსხმელები: **ხავიერ სავიოლა, გუსტავ ლოპესი, კლაუდიო ლოპესი, ხულიო კრუსი, არიელ ორტეგა.**

ოლეგ რომანცევს ოქროს მედლები ესიზმრება

ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი წლევანდელ სეზონში ოქროს მედლების მოპოვებაა, რაც სპეციალისტებმა ფანტასტიკად შერაცხეს, მით უმეტეს, რომ „სპარტაკმა“ შარშანდელი სეზონი „ჩააგდო“.

ამჟამად რომანცევის განკარგულებაში ჯერჯერობით შემდეგი ფეხბურთელები ირიცხებიან.

მეკარეები: ლევიცკი, ალექსეევი.

მცველები: კოვტუნი, მიტრესკი, აბრამიძე, შეშუკოვი, სტრელცოვი.

ნახევარმცველები: კალინიჩენკო, ბეზროდნი, ბარანოვი, სმირნოვი, პავლენკო, სამედოვი, ტორბინსკი, კუდრიაშოვი.

თავდამსხმელები: დანიშევსკი, სონინი, პავლუჩენკო.

NBA ნბა

სტეფანიას „მაიამი“ „ნიუ-იორკს“ მოუგო

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „დალასმა“ სტუმრად 104:81 დაამარცხა „ბიუსტონი“. სტუმართა-გან საუკეთესო იყო ნოვიტკი, რომელმაც თავის - გუნდს 34 ქულა შესძინა. მასპინძლებიდან ყველაზე მეტი – 20 ქულა იაო მინმა მოიგროვა.

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი“ 82:80 სძლია „ნიუ-იორკს“. ჭარბოველი ლეგიონერის თანგაუნდელ ჯონსის ანგარიშზე 22 ქულა, ხოლო „ნიუ-იორკელთა“ რიგებში საუკეთესო იყო სპრიუელი – 28 ქულა.

ტურის სხვა შეჯვედრები: **„ინდიანა“ – „სან-ანტონიო“ 97:106, „ფილადელფია“ – „ატლანტა“ 83:97, „ნიუ-ჯერსი“ – „ვაშინგტონი“ 86:78, „იუტა“ – „პორტლენდი“ 95:71, „კლიფერსი“ – „ჩიკაგო“ 77:75, „ფინიქსი“ – „ლეკერსი“ 90:99, „ნიუ იორლეანი“ – „ტორონტო“ 104:83, „ორლანდო“ – „კლივლენდი“ 113:108.**

ბიუსტონი – დალასი

ბოსკოვში გოგელსკის ბიუსტს დგამენ

***ბოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის (ცსკა) სპორტსმენთა დიდების ხეივანში დაიდგმება ალექსანდრე გოგელსკის, ეიაბულელ ფეტისოვისა და ანატოლი ტარასოვის ბიუსტები.**

ალექსანდრე გოგელსკის ბიუსტი ზურაბ ფეტერეთლის მიერ არის შესრულებული, რომელიც ცნობილ მწვრთნელს დაბადების 75 წლის თუბილეზე მიართვა. ამ ბიუსტს გაზაფხულზე დადგამენ, ხოლო უფრო მოგვიანებით, – ფეტისოვისა და ტარასოვის ბიუსტების პროზენტაცია შედგება.

იმასაც გეტყვით, რომ 24 აპრილს საზეიმოდ აღნიშნავენ ცსკა-ს დაარსების 80 წლისთავს.

ბურე თებერვალში დაუბრუნდება მოედანს

ნბა-ს ლიგა „ნიუ-იორკ რინეჯერსის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, ჰოკეის ვარსკვლავი პაველ ბურე თებერვალში დაუბრუნდება მოედანს. მმიე ტრავმის შემდეგ რუსი ჰოკეისტი რვაბილიანიანის კურსს გადის. ის ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს. „ნიუ იორკ რეინჯერსს“ იმედი აქვს, რომ ბურე ნბა-ს ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში დიდ დახმარებას გაუწევს გუნდს.

მაიკ ტაისონი: „ლიუისს ჩემი ეშინია“

– „ტაისის ლიუისის ორთაბრძოლა. 2002 წ. ივნისი

ამერიკელმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა დაიკადა, რომ მომავალი ორთაბრძოლის (რომელიც ნინასწარი მონაცემებით, ზაფხულში ჩატარდება) პირველსაე რაუნდში ლენოქს ლიუისს ნოკდაუნში გაგზავნის.

გასული წლის ივნისში ჩატარებულ ბრძოლაში ლიუისთან დამარცხების შემდეგ ტაისონმა აღიარა, რომ მისი მეტოქე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ღირსია. ახლა, როგორც ჩანს, აზრი შეიცვალა და თვლის, რომ ის ლენოქსზე ძლიერია.

„შარშან არ ვიყავი მზად ბრძოლისათვის. ბევრი პრობლემა მქონდა. დღეს კი მშვენიერ ფორმაში ვარ. თუკი ლიუისი ძლიერია, რატომ დასჭირდა მას ჩემი დამარცხებისათვის 8 რაუნდი? იმიტომ, რომ მას ჩემი ეშინოდა და ახლაც ეშინია“, – განაცხადა „რკინის მაიკმა“.

ტაისონი

რუსეთის ნაკრები ეარგ საფინის გარეშე

„დეკანოს თასის“ მფლობელი რუსეთის ნაკრები, ამავე შეჯიბრების მერვედფინალური ეტაპისათვის ემზადება.

სოჩი

რუსი ჩოგბურთელები სტუმრად ხვდებიან ჩეხებს. ეს მატჩი 7-9 თებერვალს ოსტრავაში შედგება.

ავსტრალიის ღია პირველობაზე ტრავმირებული მარატ საფინი ვერ შეძლებს გამოსვლას ჩეხებთან მატჩში, რაც რუსეთის ნაკრებისათვის მარილაც დიდ დანაკლისია.

რუსთა კაპიტანმა შაპილ ტარპიშევმა ჩეხებთან საბრძოლველად გამოიძახა ევგენი კაფელნიკოვი, მიხაილ იუჟნი, ნიკოლაი დავიდენკო და იგორ ანდრეევი. ორი უკანასკნელი დებიუტანტია. დავიდენკოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მან ახლახან აფელიადას ტურნირი მოიგო.

საფრანგეთის ჩოგბურთელ ჟაკთა ნაკრები „დეკანოს თასის“ მიმდინარე გათამაშებას რუმინეთის ნაკრებთან მატჩით აწყებს. ფრანგთა კაპიტანმა გი ფორეგმ შემდეგი ჩოგბურთელები იაზლა: სებასტიან გროჯანი, ნიკოლა ესკიუდე, მიშელ ლოდრე და ფაბრის სანტორო. ტრავმის გამო ნაკრებს გამოაკლდა ანრი მატიე (სურათზე), რომელმაც შაარშან ბრწყინვალე თამაშით ალრი შობაუგდოლება დატოვა. რაც შეეხება რუმინეთის ნაკრებს, ეს უკანასკნელი ფრანგულ კამპანიას შემდეგი შემადგენლობით დაუსვამენ ბუქარესტში: ანდრეი პ